პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს ქ. პ. კ. ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 25 მაისი, 1949 წ. № 103 (8406). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

სანიმუშოდ მოვუაროთ შაქრის ჭარხალს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ე. კოხრიძე — მავნე წიგნები (მე-2 გვერდი).
ი. ბურდიაშვილი — სამგზავრის სახალხო მფარველობა და მისი საჰირონებანი (მე-3 გვერდი).
დ. ლომაძე — ეს დღეები სამგზავრის ველზე (მე-3 გვერდი).
გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ მოვუაროთ შაქრის ჭარხალს

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლა წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაებმა კარგად დაიწყეს. ჭარხალი დაითესა მზრალად მოხნულ ნიადაგზე, მოკლე, ვადებში და უფრო მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შარშანდელთან შედარებით.

რაიონებიდან მოდის სასიხარულო ცნობები. ჭარხლის აღმონაცენი თანაბარი და კარგია. დაიწყო უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ახალი, დიდმნიშვნელოვანი პერიოდი — ჭარხლის ნათესის დამუშავება — მწკრივთა შორის პირველი მსუბუქი გაფხვიერება და გამოხშირვა. ამ სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვად შესრულებაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ბედი.

ჩვენი ამოცანაა, რათა მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგი იყოს მუდამ გაფხვიერებული, სარეველა ბალახებისაგან სრულად გაწმენდილი. ნიადაგის გაფხვიერება ტენის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ხოლო ტენის შენარჩუნება ხელს უწყობს მცენარის კარგად განვითარებას. ობილი ამინდის დადგომის გამო ჭარხალი სწრაფად იზრდება. ეს ზრდა რომ დავაჩქაროთ, აუცილებელია არ დავაგვიანოთ ჭარხლის ნათესთა დამუშავება. მოწინავე მეჭარხლეები, რომლებმაც წინა წლებში ჭარხლის უხვი მოსავალი მოიყვანეს, ამჟამადაც იძლევიან საუკეთესო შუშაობის მაგალითს. კასპის რაიონის კოლმეურნეობა „მნათობის“ მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა სოფიო მარიდაშვილმა ჭარხლის პირველი გაფხვიერება და გამოხშირვა მოკლე დროში დაამთავრა. რგოლის მოუხდებელი აქვს ორგანული და მინერალური სასუქი მცენარის დამატებით გამოსაკვებად. გაშენდილია სარწყაო არხები. საჭირო შემთხვევაში რგოლი მზად არის ჭარხლის მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მარიდაშვილის რგოლი იბრძვის იმისათვის, რომ სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 1.100 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

გორის რაიონის სოფელ ზემო სობლის კოლმეურნეობამ დაამთავრა ჭარხლის ნათესების გაფხვიერება, გამოხშირვა. ნათესებში გაიყვანეს სარწყავი არხები, ბრიგადებსა და რგოლებში ჭარხლის ნაკვეთები ინდივიდუალურად მოვლისათვის მიჩენილი აქვთ კოლმეურნეებს. შრომის სწორად მოწყობისა და სამუშაო ძალების გონივრულად განაწილების შედეგად კოლმეურნეობაში მაღალია შრომის დისციპლინა, „ჭარხლის ყველა საგაზაფხულო სამუშაო საუკეთესოდ სრულდება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან გვიანდება შაქრის ჭარხლის პირველი გაფხვიერება და გამოხშირვა. ხაშურის რაიონის კლიმენტიაურის კოლმეურნეობას 18 ჰექტარი ჭარხლის ნათესი აქვს. მცენარე კარგად არის აღმოცენებული, მაგრამ ის დამუშავების შეუწყნარებლად აჩიენურებენ. ასეთ ფაქტებს ვხედავთ ლასპისა და ქარელის რაიონებშიც.

ცნობილია, რომ სასუქი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გასაადიდებლად. ამიტომ საჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ მის მოსამარაგებლად და პლანტაციებში მისაზიდვადად. მაგრამ ქარელის რაიონში ამ საქმისათვის თავს არ იწუხებენ. ჭარხლისთვის განკუთვნილი მინერალური სასუქი აქ ღია ცის ქვეშ ჰყრია და ნიავდება. რატომღაც ეს ფაქტი ჯერჯერობით პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ხაშურის რაიონში ყველა კოლმეურნეობა როდია მზად ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლის მოსაწყობად. აქ საკმაო რაოდენობით არ გაჩინათ მავნებლის მისატყორცნელი ბადაგი და შესასხურებელი ზხამმასალა. ამ საქმეში კოლმეურნეობებს სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და აგარის შაქრის ქარხანამ.

საჭიროა დროულად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, გადაჭრით გავაძლიეროთ ჭარხლის ნათესთა პირველი მსუბუქი გაფხვიერების, გამოხშირვის, მწკრივთა შორის შემდგომი დამუშავების ტემპი, მოვაწყოთ პლანტაციების შემოწმება, დამატებითი კვება ორგანული და მინერალური სასუქებით, სწრაფად დავამთავროთ არხების გაწმენდა, რადგან არხების მოუმზადებლობასა და რწყვის დაგვიანებას შეუძლია შეამციროს მოსავლიანობა.

ჭარხლის ნათესის მოვლის სამუშაოთა შორის მნიშვნელოვანი რგოლია მავნებლებთან ბრძოლა. სადაც მავნებლის გამოჩენის საშიშროებაა, იქ საჭიროა დაუყოვნებელივ მივიღოთ სიფრთხილის ღონისძიებანი — პლანტაციის ირგვლივ ამოვიღოთ თხრილები, დავდგათ გობები მისატყუებელი სითხით. მავნებლის ხელით შეგროვებასთან ერთად სეროზული ყურადღება უნდა მივაქციოთ ქიმიურ წამლობას.

მოსავლიანობის გადიდებისათვის სერიოზული მნიშვნელოვანი აქვს მეცნიერთა სიხშირის დაცვას. თვითეული მეჭარხლის ამოცანაა მოსავლის ადების მომეტებისათვის შენარჩუნებული ჰქონდეს ჰექტარზე 100.000-110.000 ძირი მცენარე.

ჩვენმა მეჭარხლეებმა შეუპოვრად უნდა იბრძოლონ 1950 წლის სრულიად საკავშირო სოციფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ: იმ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში თითოეული ნათესი ფართობის (მაგრამ არა ნაკლებ 20 ჰექტარისა) თვითეულ ჰექტარზე მიიღო სულ მცირე 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი; იმ ბრიგადირებს, რომლებმაც სულ ცოტა 20 ჰექტარ ნათეს ფართობზე მიიღეს შაქრის ჭარხლის მოსავალი, რაც 30 პროცენტით აღემატება კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ მაჩვენებლებს, ხოლო, თუ კოლმეურნეობებისათვის ჰექტარზე დაწესებულია 230 ცენტნერი და მეტი მოსავლიანობა, მიიღეს 30 ცენტნერით მეტი მოსავალი; იმ მერგოლურებს, რომლებმაც სულ ცოტა 3 ჰექტარ ნათეს ფართობზე მიიღეს შაქრის ჭარხლის მოსავალი, რაც კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ მაჩვენებლებს 50 პროცენტით აღემატება, ხოლო, თუ კოლმეურნეობებისათვის დაწესებულია ჰექტარზე 230 ცენტნერი და მეტი მოსავლიანობა, მიიღეს — 70 ცენტნერით მეტი მოსავალი.

გურიანთელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ მაჩვენებელთა წარმატებით შესასრულებლად. ჭეჭარსელიის რაიონების პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან საფუძვლიანად გააცნონ სოფლის მშრომელებს გამოფენაში მონაწილეობის პირობები და ყოველდღიურად, ოპერატიულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას უხვი მოსავლისათვის.

კუთხეს ოლქის მოწინავე მეჭარხლე მერგოლურებმა პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს. მათ იკისრეს შეფობა თავიანთი და მეზობელი კოლმეურნეობის ჩამორჩენილი რგოლებისადმი, რათა ისინი გაუტოლონ მოწინავეებს. უეჭველია ამ კარგ თაოსნობას მხურვალე მხარს დაუჭერენ საქართველოს მოწინავე მეჭარხლეები. ასეთ დახმარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა ჭარხლის ნათესთა მოვლის ამ გაცხარებულ დღეებში.

ლაშქრობა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის შემდგომ გასაადიდებლად წარმატებით უნდა დავაგვირგვინოთ!

ა. ს. პუშკინის ძეგლი მოსკოვში.
(საკდესის ფოტოკორონაკი)

ა. ს. პუშკინის ახალი ავტოგრაფები

ლენინგრადი, 21 მაისი. (საკდესი). ბ. კ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოჩინეს ა. ს. პუშკინის უცნობი ავტოგრაფები და მასალა დიდი პოეტის შესახებ.

ხელნაწერთა განყოფილების ფონდებში დაცულ პირი ა. ს. პუშკინის ლექსისა „ღმერთმა ხელი მოგმართოთო, მეგობრებო“ გულმოდგინე შესწავლის შედეგად აღმოჩნდა ავტორის ნამდვილი ხელნაწერი, რომელიც დღემდე უცნობი იყო. ლექსი დღემდე ბეჭდებოდა 1832 წლის გამოცემის ტექსტის მიხედვით.

აღმოჩენილ მასალებს გადასცემენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის პუშკინის ფონდს.

სათხილამურო სპორტის საკავშირო სექცია საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის წევრია

ნორვეგიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის XII კონგრესში.

კონგრესმა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის წევრად დამტკიცა სათხილამურო სპორტის საკავშირო სექცია. საბჭოთა სექცია საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის შემადგენლობაში ყველაზე დიდი ეროვნული ორგანიზაცია იქნება წევრთა რაოდენობის მიხედვით.

სათხილამური სპორტის საკავშირო სექციის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ა. ანდრეევი არჩეულია საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის საბჭოს შემადგენლობაში. სხვა ენებს შორის ფედერაციის ოფიციალურ ენად მიღებულია რუსული ენა. (საკდესი).

ყოველდღიური კედლის გაზეთის მესამიათასე ნომერი

ბოლქარი, 24 მაისი. (საკდესი). გამოვიდა ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „ურალნოე სორმოოოს“ მარტენის საამქროს ყოველდღიური კედლის გაზეთის „სტალის“ მესამიათასე ნომერი. საამქროს მუშებმა—გაზეთის მუშა კორესპონდენტებმა — გაზეთის საიუბილეო ნომრის გამოშვება აღნიშნეს თვალსაჩინო დადგენილებით დიდძალი ლობინის გამოშვებით.

საბჭოთა კავშირში

გაიხსნა თავისუფალი უნგრეთის სამრეწველო გამოფენა

21 მაისს მოსკოვში გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა თავისუფალი უნგრეთის სამრეწველო გამოფენა.

იგი ინისათვის მოეწყო, რომ საბჭოთა დედაქალაქის მოსახლეობას უჩვენონ, თუ რა მიღწევები აქვთ უნგრეთის მშრომელებს, რომელნიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ. გამოფენაზე. უხვად არის წარმოდგენილი სამანქანათშენებელი, ენერგეტიკული, ქიმიური, სამშენებლო, კვების დარგები და მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი დარგები: გამოფენილია რთული დანგარები, ელექტროსადგური, მაკიანური დანადგარები, ლოკომობილები, თბომავალთა მოდელები, ფიზიკ-მატარებელები, ავტომანქანები და სხვ. ბევრია ნაწარმი ალუმინის მრეწველობისა, რომელიც დიდად განვითარდა ომისშემდგომ სახალხო-დემოკრატიულ უნგრეთში. გამოფენაზე ნაჩვენებია ახალი ხიდების ალდგენისა და მშენებლობის დარგში მოპოვებული მიღწევები. გამოფენილია ადგილთვე შინაბრეწველობისა და სახალხო გამოყენებითი ხელოვნების ბევრი ნაწარმი.

გამოფენის პავილიონები და მათი მომიჯნავე ტერიტორიები მორთულია სსრ კავშირისა და უნგრეთის რესპუბლიკის ეროვნული ალმებით.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ სამრეწველო, სავაჭრო, სამეურნეო ორგანოების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები. სტუმრებს შორის არიან საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მინაკოვი, სსრ კავშირის ეკონომიური განათლების მინისტრი ს. ვ. კაფტანოვი, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრი ი. გ. ბოლშაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფ. ტ. გუსევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილენი ი. თ. სემენასტროვი და მ. ა. ნერგეზინაკი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ს. ა. ტრიფონოვი, რსფსრ ვაჭრობის მინისტრი მ. ი. მაკაროვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი და სხვ.

უნგრეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს, რომელნიც გამოფენის გახსნას დაესწრნენ, მიესალმა საკავშირო საგაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი.

უნგრეთის რესპუბლიკის ვაჭრობისა და კოოპერაციის მინისტრი ბ-ნი რონაი შანდორი შეკრებილთა მიესალმა თავისუფალი უნგრეთის მთავრობის სახელით. მან მადლობა გადუხადა საბჭოთა ხალხს, გენერალისიმუს სტალინს ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში დახმარებისათვის.

ბ-ნმა რონაიმ რქმენა გამოთქვა, რომ თავისუფალი უნგრეთის პირველი სამრეწველო გამოფენა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

თავისი სიტყვის დასასრულს ბ-ნმა რონაი შანდორმა წარმოთქვა:

— გაუმარჯოს მშრომელთა დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობას!

ორკესტრმა შეასრულა უნგრეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. ბ-ნ რონაი შანდორმა გადაჭრა ეროვნული წითელ-თეთრ-მწვანე ლენტი და გამოფენა გაიხსნა.

(საკდესი).

ა. ს. პუშკინის საფლავი დიდა პუშკინსკეე გორიში.
(საკდესის ფოტოკორონაკი)

ონორე ბალზაკის ხსოვნას

სსრ კავშირის საბჭოთა მეზრელების კავშირმა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ და გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა გუშინ, 23 მაისს, მოიწვიეს ონორე ბალზაკის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფოიერაში დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოსკოვის საწარმოთა მეშუბნი, საბჭოთა არმიის ოფიცრები.

სხდომა გახსნა სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერალმა კ. ფედინმა. მან აღნიშნა, რომ მრავალი მილიონი მადლიერი საბჭოთა მკითხველი დიდ პატივს სცემს „ადამიანის კომედიის“ შემოქმედის ხსოვნას.

— ბერტუანია ხალისით ატყობდა: „ბალზაკ მოკვდაო“,—დაამთავრა თავისი სიტყვა. ამბ. ფედინმა.—ჩვენ ვეუბნებით ბერტუანიას: ბალზაკი ცოცხალია! იგი ცოცხლობს და კვლავ აყეფებს თავის დიდ და საბრძოლო საქმეს. იგი ბურჟუაზიზე შურს ძიებს მისი დანაშაულებრივი ბუნების უბადლო ცოდნით.

ბალზაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა ი. ა. ანისიმოვმა. მოიხსენებელმა დაახასიათა დიდი მწერლის შემოქმედებითი გზა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბალზაკის თუმცა ავადმყოფობა ყველა ქვეყნის პროგრესულ ადამიანებს ეზრუნონ ინისათვის, რომ ბალზაკ გაიკეთ ბალზაკის ნაწარმოებთა ძიებედი.

ბალზაკის თუმცლეს ხელი უნდა შეუწყოს ინმა, რომ მისი ნაწარმოებები ფართოდ გავრცელდეს ხალხში,—თქვა დასასრულ მომხსენებელმა,—რადგან მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანმა კაპიტალიზმის შესახებ უნდა იცოდეს სრული სიმართლე, რასაც ბალზაკის ნაწარმოებნი შეიცავენ.

სხდომის შემდეგ დიდი კონცერტი გაიმართა მოსკოვის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით. დადგა ნაწყვეტები სპექტაკლებისა ბალზაკის ნაწარმოებთა ძიებედი.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში მიღება

სსრ კავშირის შრომის რეზერვების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში მოსწავლეთა ახალი მიღების შესახებ. იგი განხორციელია ჩატარდეს 1 ივნისიდან 31 აგვისტომდე.

ორი წლის განმავლობაში ასიათასობით მოსწავლემ მიიღო ელექტრომონტიორის, ზეინკლის, ელექტროგაზშემდუღებლის, რადიოოპერატორის, ასოთამწყობის, ტელეგრაფის მექანიკოსის და სხვა სპეციალობა.

სასწავლებლებში შემსვლელთათვის წელს პირველად შემოღებულია შემოწმებითი გამოცდები რუსულ ენაში და მათემატიკაში საშუალო სკოლის 4 კლასის პროგრამის მოცულობით. სასწავლებელში შესასვლელად უპირატესი უფლება ეძლევათ სამხედრო სახლებში აღზრდილებს.

ენერგეტიკული და ქიმიური მრეწველობისათვის, ტრანსპორტისა და ჯავშრგაბმულობისათვის, აგრეთვე წარმოების იმ დარგებისათვის, სადაც ნაკლოვანი განსაკუთრებით რთული მექანიზმებისა და აგრეგატების მომსახურება, კვალიფიციური მუშები მომზადდებულ იქნებიან იმ პირთაგან, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის არანაკლებ 7 კლასისა.

ყველა სასწავლებელში მიმდინარეობს მზადება მოსწავლეთა ახალი მიღებისათვის. წარმოებს მოწყობილობის რემონტი და მოდერნიზაცია, მიმდინარეობს სასწავლო სახელოსნოების შევსება სხვადასხვა მოწყობილობითა და ინსტრუმენტით. 15 აგვისტომდე ხელახლად მოწყობილ იქნება სასწავლებელთა სასწავლო კაბინეტები წარმოების ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის და შრომის სტახანოვური მეთოდების შესაბამისად.

(საკდესი).

ჩაგიანა სევრიუკოვას მსოფლიო რეკორდი

საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით აღწევენ მსოფლიო პირველობას სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი სახის სპორტში. ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძის რეკორდის დამტკიცების შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ახალი ცნობა მიიღო ლონდონიდან: მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციამ ბირთვის კვრაში ქალთათვის მსოფლიო რეკორდად დაამტკიცა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საზოგადოება „დინამოს“ წევრ ტატიანა სევრიუკოვას მიღწევა. იგი უდრის 14 მეტრს და 59 სანტიმეტრს.

ეს რეკორდი ტ. სევრიუკოვამ შარშან ზაფხულს დაამყარა „დინამოს“ მოსკოვის სტადიონზე. იგი 20 სანტიმეტრით აღემატება წინანდელ მსოფლიო რეკორდს, რომელიც აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენს — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატ ანა ანდრეევას ეკუთვნოდა. (საკდესი).

არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადისტ-ოპერაგორების საკავშირო შეჯიბრება

რასტოროგუევო (მოსკოვის ოლქი), 23 მაისი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადისტ ოპერატორების საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ბათუმის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების რადიოკლუბთა წევრებმა.

ახალი საკავშირო მიღწევა აქვს ქალაქ კალინინგრადის რადისტ-ოპერატორს ფ. როსლიაკოვს. იგი მუშაობდა საწერ მანქანაზე „მორზეს“ ანბანის დამზარებით და ერთ წუთში მიიღო ანბანური ტექსტის 400 ნიშანი. ამბ. როსლიაკოვმა 80 ნიშნით გადააჭარბა 1948 წელს მის მიერვე დამყარებულ საკავშირო რეკორდს. მას მიენიჭა წოდება „სსრ კავშირის არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ჩემპიონისა“ 1949 წელს „მორზეს“ ანბანის მიღებასა და გადაცემაში.

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ვენახის გაშენებისა და მყნობის გეგმები

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა 1949 წლის გაზაფხულზე გადაჭარბებით შეასრულეს ვენახის, ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეების გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმები.

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საგაზაფხულო თესვის და ვენახის გაშენების გეგმები

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 მაისისათვის მთლიანად შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. არახისის თესვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, სოიისა — 100 პროცენტით, ბალახებისა და სასილოსე ნათესისა—100 პროცენტით, ბოსტნეულისა—100 პროცენტით.

რაიონში გადაჭარბებით შეასრულა ვენახის, ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეების გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმები.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თესვის გეგმა

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა 22 მაისისათვის 100 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

სოციალისტური შრომის გმირები



ი. ი. ქადაგიშვილი
ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 31,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს მოლეგიანობისთვის.



ა. ა. ხაჩიკიანი
სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ეშერის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოლეგიანობისთვის.



მ. ს. ბოზაძე
ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 35,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს მოლეგიანობისთვის.



ბ. კ. ნუბარიანი
გაგრის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,4 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოლეგიანობისთვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად, **სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს** უხვი მოსავლია მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა ახის სააოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, ნატურანაზღაურება მტს-ების 1948 წლის მუშაობისათვის და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

33. **ესათია** ვალენტინა არტემის ასული — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

34. **ფუფნიაშვილი** ანეტა გრიგოლის ასული — სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

35. **ზარი** მეხტი ყიზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

36. **ზურაბაშვილი** ნადეჟდა საბას ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ წევრი.

37. **ისა** ფატმა ყიზი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრი.

38. **კაბულოვა** საათ მუსტაფა ყიზი— მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

39. **ქაჯაია** პაჩა ჰუსეინის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

40. **კალაევა** შოიკატ ფირაღი ყიზი— მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

41. **კალაევა** მალეკ ჯალალ ყიზი — მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

42. **კამატაძე** ჯივან დემურალის-ძე — ხულოს რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

43. **კარაპეტიანი** ენოვკა კარაპეტის-ძე — ოჩამჩირის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

44. **კახრამან** მეხრიბან ყიზი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრი.

45. **ქერ** ოღლი დადაშ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

46. **ქერდოკოშვილი** გიორგი იასონის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

47. **კოკილაშვილი** მარგალიტა ნიკოლოზის ასული — სიღნაღის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

48. **ყორაშვილი** ანა სერგის ასული — ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

49. **კუტიბაშვილი** სანდრო ილიას-ძე — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

50 **კუსრაშვილი** არუნ ზაალის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ჩხუბანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

51. **ქუთაშვილი** ვერა გიორგის ასული — ლაგოდეხის რაიონის ჩხუბანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

52. **ლაჩაშვილი** თინა აღექსის ასული — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს“ წევრი.

53. **ლეკიაშვილი** ქარუმა ივანეს-ძე —ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

54. **ლიტვინოვა** ანა თევდორეს ასული —ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

55. **ლობჟანიძე** გრამატონ ეგნატეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

56. **ლუცენკო** უსტინია იაკობის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

57. **მაჭაცარია** ბესარიონ გახუს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „სახალი შარას“ წევრი.

58. **მამედალიზადე** ტუკიაზბან — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრი.

59. **მინოსიანი** იაშან აკოფის-ძე — გაგრის რაიონის ეორონშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

60. **მუსტაფა** თამამ ყიზი—ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრი.

61. **მჭედლიშვილი** ნიკოლოზ ივანეს-ძე—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

62. **მჭედლიშვილი** შაშა ნიკოლოზის ასული—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

63. **მუსტაფაევი** მუსტაფა მამედ რიზა ოღლი—მარნეულის რაიონის მტს-ის ახელობის კოლმეურნეობის წევრი.

64. **ნანავა** აკაკი ძიკის-ძე—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

65. **ნანა** ხანუმ ტანიერდი ყიზი — მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

66. **ნაცვლიშვილი** თამარ ალექსანდრეს ასული—ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

67. **ნარსია** ვალენტინა ანდრიას ასული—გულრიფშის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

68. **ნერსეზაშვილი** გრიგოლ იოსების-ძე — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს“ წევრი.

69. **პარი** მაჰმუდ ყიზი—მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

70. **პერტია** ირაკლი გრიგოლის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

71. **პერტია** დიომიდე გვადის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

72. **ფხოველიშვილი** იოველ თომას-ძე —სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

73. **რაგიმ** შახნაკატ ყიზი—მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

74. **რამაზან** ხალიმ ოღლი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

75. **რასხოკანა** ნინო იაკობის ასული —ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

76. **რუფიცაია** პელაგია მიხეილის ასული—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

77. **რუსლამ** ბინიატ ოღლი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

78. **რუსსარ** ნოვრუზ ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

79. **საბეკია** გაჯი სტეფანეს-ძე—ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

80. **სადი** ჰასან ოღლი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

81. **სალატინ** სოიუნ ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

82. **სვანიძე** პლატონ ოქროპირის-ძე —გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

83. **სიფრაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ წევრი.

84. **სირბილაძე** ეფრემ ბესარიონის-ძე—გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

85. **სორდია** სევერიან ალექსანდრეს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

86. **სტრიუკოვა** საობარე ვასილის ასული—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

87. **სუხი ბეგილი** ეკატერინე კოსტანტინეს ასული—გორის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ნაპერწკლის“ წევრი.

88. **თათარიშვილი** ლუბა პლატონის ასული—ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

89. **ტუებუჩავა** ლეონტი გუჯას-ძე—ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

90. **უბირია** ვასილ სტეფანეს-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის სარემონტო სახელოსნოს გამგე.

91. **ფატმა** ნისა აკპერ ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

92. **ცაგარეიშვილი** ტრიფონ ტიმოთეს-ძე—სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.

93. **ცარნკო** მარიან გრიგოლის ასული—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

94. **ცოტნიაშვილი** გიგო ზურაბის-ძე —სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

95. **ცოტნიაშვილი** მიტო გიორგის-ძე —სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

96. **წურწუმია** ონიფატე ბესარიონის-ძე—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

97. **წულუკიძე** ზია აგალმის-ძე—ხულოს რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

98. **ცხმარია** კოკი ჩარხის-ძე—ფოთის რაიონის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

99. **ჭაბაშვილი** სარდიონ აღექსანდრეს-ძე—ლაგოდეხის რაიონის ჩხუბანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

100. **ჭაბაშვილი** თინა ნარიმანის ასული—ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

101. **ჩაკვეტაძე** მიხეილ გრიგოლის-ძე—გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

102. **ჩიკვაიძე** უმენ მამუდის ასული —ქედის რაიონის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

103. **ჩოლარია** ტერენტი პეტრეს-ძე —ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

104. **ჩოფლაშვილი** დანიელ მალაქიას-ძე—ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

105. **შავაძე** ფეხრი რიზალის-ძე — ხულოს რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

106. **შალბაშვილი** ქეთევან საბას ასული—ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

107. **შანდა** ქიარემ ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

108. **შარაბანი** ალი ირზა ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

109. **შეიფლაძე** სერგი დავითის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

110. **შენგელია** ვლადიმერ ბაგრატის-ძე—სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ედიხის“ ბრიგადირი.

111. **შენგელია** ნათელა სიმონის ასული—გულრიფშის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

112. **შიხაშვილი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე—ლაგოდეხის რაიონის ტიმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1949 წლის 3 მაისი.

*) დასასრული. გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 91, 93, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102.

მაკონი წიგნები

ჩვენი ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის შეგნებით აღზრდის საქმეში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის მხატვრულ ლიტერატურას. არც ერთ ქვეყანაში არა აქვს ისეთი დრმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ლიტერატურას, როგორც ჩვენში. საბჭოთა ლიტერატურას, ხელოვნებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ამ მაღალი მოვალეობის განხორციელებაში დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება ლიტერატურულ კრიტიკას, ლიტერატურის მეცნიერების ისტორიას.

მართალია, ობიექტური ლიტერატურული კრიტიკა არის პირველი პროპაგანდისტი ყოველივე მოწინავის, კარგისა და დადებითის ლიტერატურაში. ნამდვილი საბჭოთა მკვლევარი თუ კრიტიკოსი, რომელიც სულით და გულით ერთგულია თავისი მიწა-წყლისა, მისი სულიერი კულტურისა, არ შეიძლება არ ამაყობდეს თავისი ქვეყნის კულტურით, მისი ლიტერატურით და ამ მაღალი შეგნებით არ მსჭვალავდეს ხალხს, მკითხველებს. ლიტერატურის მეცნიერული ისტორია, კრიტიკული წერილები, თუ ისინი სწორად და მართლად გადმოგვცემენ მხატვრული ნაწარმოების აზრს და ლიტერატურას განიხილავენ როგორც ხალხის სულიერი ცხოვრების ნათელ გამოხატულებას, ეხმარებიან მკითხველებს მხატვრული ნაწარმოების სწორ გაგებასა და შეფასებაში. პირიქით, თუ ეს ლიტერატურული წერილები და გამოკვლევები აფუდგარებენ, უმართებულოდ გადმოგვცემენ მხატვრული ნაწარმოებების აზსს, ამახინჯებენ ლიტერატურის ისტორიას, ისინი აბნევენ მკითხველს, ორიენტაციას უკარგავენ მას, ხელს უშლიან ლიტერატურის დიდი აღმზრდელობითი როლის განხორციელებას.

ჩვენში ცოტნ როდი ისეთი მეცნიერი და კრიტიკოსი, რომელიც სულითა და გულით, მაღალი პატრიოტიული შეგნებით ეკიდება თავის საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი მოესეთტო კრიტიკოსები და ლიტერატურის ისტორიკოსები, რომლებიც წლების მანძილზე თავიანთი მავნე და მიუღებელი შეხედულებებით ცდილობდნენ მოეწამლათ ჩვენი ახალგაზრდობის გონება, ხელს უშლიდნენ მის სწორ აღზრდას.

სწორედ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული გაზეთ „კომუნისტის“ 11 მაისის ნომრის სარედაქციო წერილი „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“. ამ წერილში გამომეფლავნებული ქართული ლიტერატურის ისტორიის მცდელობა ერთი ჯგუფის, მათ შორის კ. კაპანელის ანტიპატრიოტული და ცრუმეცნიერული საქმიანობა. კ. კაპანელი მთელი რიგი წლების მანძილზე ურცხვად და უშვერად ლანძღავს და აგინებს ქართველ ხალხს, აყალბებს მის ლიტერატურას. ასეთი აზრებია გატარებული კ. კაპანელის წიგნებში „სული და იდეა“ (1923 წელი), „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“ (1925 წელი), „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ (1926 წელი), „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი (პრინციპული ნარკვევი)“ (1931 წელი) და სხვ. ამ წიგნებში არა მარტო იდეალისტური, მისტიკური თეორიებია უხვად გაბნეული, არამედ დამცირებული, დამაბალებული ჩვენი ეროვნული კულტურა, ჩვენი სახელოვანი კლასიკოსები, შეურაცხყოფილია ჩვენი ერი, ქართველი ხალხი.

„კომუნისტის“ სარედაქციო წერილში უკვე იყო აღნიშნული, რომ კ. კაპანელს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არ მიაჩნია ქართულ ქმნილებად. აი რას წერს კაპანელი:

„არც ფაბული „ვეფხისტყაოსანისა“ არც მისი იდეალოგია ქართული არ არის. ხოლო ავთანდილის ანდერძი და სამეცარა მულოსანაზარის ველზე საკვეთნო ფორმულაა აღმოსავლეთის ესთეტიურ-მორალური ფილოსოფიისა, ნეოპლატონიზმისა და ელინიზმის შერევით“...[1])

„ბარამიანი“, რომლის ქართული თქმა დაკვიანებით გვხვდება ლიტერატურაში, და რომელიც ისე ძველია თავის ფაბულით, როგორც „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“, შესანიშნავია იმით, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად გამოსახავს ირანის სოციალური ეპოქის ფსიქოლოგიას“...[2])

„გაზნის სულთანი მახმუდი და მისი სასახლე ფირდოუსის დიდი პოემით, ნიზამი—ალექსანდრე მაკედონელის მოარული ამბავთა მოთხრობით, სასანიდების დინასტია სოციალური რომანით „შაჰ ხოსროუ“, რომელშიაც გამოსახულია სომხის თავადის ქალის შირინისადი სპარსელი მთავრის ტრფიალება, „ჰაფთ-ფაიქარით“, სადაც გამოყენულია სპერანეთის, სათათრეთის, რუსეთის, სომხეთის, ინდოეთის და ჩინეთის ქალთა ლამაზი სახეები, პოემა „ლეილა და მეჯნუნი“, რომლის შინაარსია არაბული ლეგენდა ბედუინების ცხოვრებიდან, — წარმოადგენენ აღმოსავლეთის სოციალური ეპოსის შემოქმედებით ატალღებს, რომლიდან ორგანიულად გამომდინარეობს რუსთაველის იდეოლოგია ავთანდილის ცხოვრების ფილოსოფიით და მორალით“.[3])

ამაზე უფრო სამარცხვინო ქედმოხრას უცხოური კულტურის წინაშე, ამაზე უფრო მეტ ცილისწამებას ქართული კულტურის მამრთ ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი. ასეთი მავნე ადვოკატური გამოსარჩლება ირანელებისა, რომელთაც მრავალჯერ ააოხრეს რუსთაველის ქვეყანა, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უფლებასა ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“ კი ცეცხლს მისცეს და გაანადგურეს, შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ეროვნული სიამაყის ნიშანწყალიც კი დაუკარგავს, ვისაც სრულებით არაფერი გაეგება ჩვენი კულტურისა.

კ. კაპანელი არა მარტო რუსთაველს ეპყრობა ასე ბარბაროსულად, არამედ სხვა ქართველ მწერლებსაც. ასე ჰყავს მას გაბიაბრუებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, აღ. ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

კ. კაპანელის მტკიცებით, ქართველ კულტურას და მის ლიტერატურას შუდამ სხვა „დირიჟორობდა“. ჯერ მუსლიმანურ ქვეყნების ეჭირათ ასეთი ადგილი, მერე კი დასავლეთს. თვითონ „ქართული შემოქმედება, როგორც ისტორიული ეკოლუცია სრულიფოფს მოკლებულია“.[4]) ასე დაუსაბუთებლად სწამებს რა ცილს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ძალაულ კულტურას, კ. კაპანელს ამ დებულებიდან შემდეგი დასკვნა გამოაქვს:

„შორეულო წარსულიდან საქართველო განიცდიდა აღმოსავლეთის გავლენას. საქართველოს სოციალ-ისტორიული და ოჯახური ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში ითვისებდა აღმოსავლეთის ჩვეულებებს; ქართული ლიტერატურა და ხალხური მეტყველება ერთნაირად ატარებენ დაღს მუსულმანურ-არაბული კულტურის გავლენისა: ქართველ მწერლებს შემოჰქონდათ სპარსულ-არაბული სიტყვები ქართულ ლიტერატურაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ოჯახში. ქართული კულტურის სისავსის გამომსახველი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ათარგულია მუსულმანურ-არაბული კულტურის იდეოლოგიურ დაზგაზე. ელინურ დასავლეთური სული „ვეფხისტყაოსანში“ გათქვეფილია მუსულმანურ-არაბული ესთეტიკურ წარმოსახვაში“[5]).

მართალია, ქართული კულტურის ამ დამამცირებელ შეფასებაში კაპანელი მარტო არ არის, მაგრამ ასე შორს მაინც არავინ წასულა.

კ. კაპანელი აყალბებს არა მარტო ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის ისტორიას. იგი უდიერად, შეურაცხმყოფელად ეპყრობა თვით ქართველ ხალხს. მხოლოდ უმადურ კაცს, ანტიპატრიოტს, გადაგვარებულს შეუძლია წეროს უძველესი და უდიდრესი კულტურის მქონე გმირ ქართველ ხალხზე ისე, როგორც ამას კ. კაპანელი სჩადის. აი რამდენიმე მაგალითი:

„ქართველის ტემპერამენტი არასაბელმწიფოებრივი და არასისტემატიური: ტავაისტური თვისებები ქართული სულისა წყობასა და სისტემას უარყოფენ“.[1]) „ჩვენს ხასიათში არის რაღაც ისტორიულად შემენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიობა-ნახალობა, ქართველი ხშირად თავის თავს ძალას ატანს, ქართველს ყველაფერი ეჩქარება და ვერაფრის დამთავრებას იგი ვერ ახერხებს, ქართველი ყოველთვის პათოსში არის. წამმაძველობა ნახალური და აჩქარებული ჩვენს ეროვნულ სულს უფრო ეგუება, ვიდრე სისტემა და ანალიზი საკუთარი, ორიგინალური. ქართული ტემპერამენტი ქალური და ისტერიულია: ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს... ჩვენს ერს უფრო ფეოქებები ამოძრავებს, ვიდრე მოვალეობა. ჩვენი ნებისყოფა მუდამ მერყეობს, ჩვენ ორგანულად შეგრძნობილი არა გვაქვს ჩვენი კულტურული ტრიპიზმი და ისტორიოლოგიური მიმდინარეობა“. „არც ერთი ერის ისტორიაში იმდენი ლალატისა და ერთმანეთის მტრობის მაგალითები არ შეგხვდებათ, რამდენსაც ჩვენს წარსულში ჰქონებია ადგილი: ზეინაბები, ოთარ-ბეგაები, საყაძეები, ფალავანდიშვილები, კაჩეხაშვილები ჩვენი ისტორიული უკუღმართობის და მრუშობის ცოცხალი გალერეაა“... „ქართველი საზოგადო მოღვაწე—ფლიდი, ცუდლუტი და მანკიერია, ქართველი მწერალი ცრუ, კუდაბზიკა და ტრაბახაა, ქართული საზოგადო დაწესებულება ინტრიგებისა და ჯორების საზიზღარი ბუდეა; ქართველი დილიდან საღამამდე სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაამციროს მეორე ქართველი; ზანდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველს არ აწუხებს“.[2]).

ამ ამონაწერს ადგილი იმიტომ დავუთმეთ, რომ მკითხველებისათვის ვვეჩვენებინა კ. კაპანელის ბინძური ანტიპატრიოტული, ანტისახალხო სახე. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თვით ბარბაროსიც არ იკადრებდა ეგრე გაუპატიურებას მთელი ერისასა“, როგორც ამას კაპანელი აკეთებს.

[1]) „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, გვ. 51.
[2]) იქვე, გვ. 49.
[3]) „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, გვ 54.
[4]) „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, გვ. 253.
[5]) „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, გვ. 63.
[1]) „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, გვ. 238.
[2]) „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, გვ. 246-247.

საბჭოთა ლიტერატურა ეროვნული ფიზიკოლოგია

საპირველ ტაკიცად და გადამჭრით უკუვაგდოთ ლიბერალური დამოკიდებულება ასეთი ანტიპატრიოტული გამოვლინებისადმი. ის, ვისაც სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის გრძნობა არ გააჩნია, არ შეიძლება შებრალების ღირსი იყოს. ის, ვინც ღვარძლიანად ლანძღავს და აგინებს თავის მიწა-წყალს, თავის კულტურასა და ხალხს, ის, ვისი გონების სალარაში უფრო კეთილშობილი სიტყვები არ მოიპოვება, არ შეიძლება არ იყოს ხალხის ზიზღის საგანი.

კ. კაპანელის წიგნები გაჟღენთილია კაცთმოძულეობის იდეებითაც. ადამიანის გონებრივ მიღწევას, მეცნიერების მონაპოვარს, ცივილიზაციის შენაძენს კ. კაპანელი ერთი ხელისმოსმით აბიაბრუებს და არარაობად აცხადებს. ცხოვრების სიყვარულის, ბრძოლის, მხნეობისა და გამბედაობის ნაცვლად მისი წიგნები ნერგავენ უიმედობას, ადამიანის უსუსურობისა და უმწეობის აზრს.

„ადამიანი ფართხალობს მარადობის საშოში დროული ფორმულებით. ყოფას ემუქრება რღვევა ყოველ წუთს“.[1]). „ყოფა უნივერსალური ირხევა უსაზღვროების არეზე, მარადობა ფანტავს არსებობის მაშხალებს და ცივილიზაციის ძეგი განგაში მხოლოდ წკალებაა, მხოლოდ ღელვა და ორთქლებაა, მხოლოდ ენერგიის განიავებაა. ცივილიზაცია უსრულესი ფორმა კულტურისა და რაც უფრო ცივილიზაციურია ხალხის ცხოვრება, მით უფრო ახლოა ისტორიული გადაშენების უკანასკნელი წუთები. ცივილიზაცია ასუსტებს ნერვებს, ავრცელებს სნეულებას, ანადგურებს პრინციპებს. ცივილიზაცია მოკლებულია იდეალს და იდეას, ცივილიზაციის პროცესი იგივე დეგენერაციის პროცესია და რაც უფრო განვითარებულია ცივილიზაცია, მით უფრო საინტერესოა ლიტერატურა. უდიდესი მწერალი უკიდურესი დეგენერატია“... „არსებობა ბოლოს და ბოლოს არქივის მასალას შეადგენს და არც-ერთი მოვლენა წუთისოფლად არ არის მიზნისა“...[2]) „რეალური ცხოვრება წაადგას საროსკიპოს, რომელიც გაუხსნიათ სასაფლაოზე“.[3])

კ. კაპანელს სანანებლად ისიც დარჩენია, რომ ბურჟუაზიის მოძმეობაველება ძალამ ქართულ კულტურაში ვერ იჩინა თავი და ის გადარჩა „ინდივიდუალიზმსა და სიკეთილის“ სილამაზეს. კ. კაპანელი პირდაპირ წერს: „ბურჟუაზიული კულტურის სისუსტემ ჩვენში ლიტერატურასა და ხელოვნებას საერთოდ დააკლო მისტიკური შინაარსი, პრობლემა ინდივიდუალიზმისა და სიკეთილის სილამაზისა, ილუზიებისა და ტრაგიზმის შეგრძნობის“.[1]).

ძნელია ქართულ ლიტერატურაში მოიძებნოს უფრო სკეპტიკურ-მისტიკური და რეაქციული აზრები, ვიდრე კაპანელის დასახელებულ წიგნებშია. მთელი ეს უბადრუკი აზრები კაპანელისა ამოკრეფილია ფაშიზმის თეორეტიკოსების ნიცშესა და შპენგლერის რეაქციული სალაროდან, კ. კაპანელი არც უარყოფს ამას. ის ერთგან ქედმაღლობითაც იხსენიებს ნიცშეს. კაპანელი წერს: „ტრაგედიული გრძნობა ევროპაში მშვენივრად განასახიერა ფრიდრიხ ნიცშემ: ფილოსოფოსმა დაინახა, რომ ცხოვრება სამნიერია და უწესრიგო. ცხოვრება წაადგას სამზეცეს, რომლის დერეფნებში რაც უფრო შორს მიდიხარ, მით უფრო ძლიერი შიში გიპყრობს...“.[2]).

კ. კაპანელი მთელ თავის რეაქციულ ზმამს ანთხეკს ქართველ ქალზეც. იგი წერს: „ქართველი ქალი თავისი სულიერი წყობით და მსოფლმხედველობით „მეშჩანკაა“. „ქართველი ქალის იდეალი გათხოვებაა“. „ისტორიიან დაღუპა ქართველი ქალი და ქართველმა ქალმა დაღუპა საქართველო: ამორძალობამ დაახრჩო დედობა და ოჯახი“.[3]).

კმარა! საბჭოთა ლიტერატურის ინტერესები, ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესები მოითხოვენ ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს ქართული ლიტერატურის ატმოსფერო კ. კაპანელის შეხედულებათა მსგავსი ბაგე, ანტიპატრიოტული, ანტიხალხური და რეაქციული შეხედულებებისაგან.

მრავალსაუკუნოვანი ქართული მხატვრული ლიტერატურა ჩვენი ხალხის ნაციონალური სიამაყეა. ამ დიდი ეროვნული საგანძურის დაფასება, მისი მოვლა და გამომზეურება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. კლასიკური მემკვიდრეობის თანმიმდევრობით დაცვას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს. და ის, ვინც ამ დიდ საქმეში ხელს გაიშლის, ის, ვინც ჩვენს ეროვნულ ღირსებას განგებ ამცირებს, ის მტრის საქმეს აკეთებს, ხალხის ნების წინააღმდეგ მოქმედებს. ასეთ ადამიანებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს ლიტერატურაში.

ე. კოხრეიძე

[1]) „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, გვ. 162.
[2]) „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, გვ. 164-165.
[1]) იქვე, გვ. 236
[2]) „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, გვ. 127.
[3]) „სული და იდეა“, გვ. 167.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

გეომორფოლოგიური კონფერენცია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის რელიეფის შესწავლის საკითხს.

კონფერენციის მიზანი იყო ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის გეომორფოლოგიური რუკის შედგენის პრინციპების დამუშავება და შესრულებული რეგიონალურ-გეომორფოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე გამოცდილების გაზიარება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს და სომხეთის გეოლოგიური საძებნელების, ლენინგრადის და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების, ლენინაკანის პედაგოგიური ინსტიტუტის და თბილისის „ჰიდროენერგოპროექტის“ სპეციალისტებმა.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილის წევრის ა. ნ. ჯავახიშვილის მოხსენება თემაზე — „გეომორფოლოგიური რუკის უნიფიკაციის საკითხისათვის“, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ნ. ვ. დუმიტრაშკოს — მოხსენება — „ამიერკავკასიის გეომორფოლოგიური რუკის შედგენის ცდა“ და სხვ.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ა. ნ. ჯავახიშვილმა.

რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური თეატრების საკავშირო დათვალიერება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით მომდინარე წელს ეწყობა თეატრებში თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესების დადგმათა დათვალიერება.

დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა იმ თეატრს, რომელმაც მიმდინარე 1948-1949 თეატრალურ სეზონში განახორციელა სამი თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესის დადგმა.

საკავშირო დათვალიერება მიმდინარეობს სამ ტურად. პირველი ტური ჩატარდება ადგილებზე, მეორე ტური მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრში, ხოლო მესამე ტური, სადაც მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს პირველ ორ ტურში გამარჯვებული თეატრი, ჩატარდება მოსკოვში.

საქართველოს თეატრებს შორის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად დაშვებულია სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე ს. ჭელიძე), რომელიც დათვალიერებაში კოშტასის უჩვენიენს მიმდინარე სეზონის სამ თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებს: ი. მოსაშვილის „ჩაძარიელ ქვეს“, გ. შატბერაშვილის „რკინის პრიანგუ“ და გ. ჭელას მოთხრობის „ეგზაფხული საკენში“ მიხედვით ს. მესხის მიერ გადმოკეთებულ ამავე სახელწოდების პიესას.

მთელი ჩვენი რესპუბლიკა აშენებს სამგორს!

★ ★ ★ ★ ★ ★

საშვილიშვილო საქმე

სამგორის მშენებელი კოლმეურნეების წერილები აქ სამუშაოდ წამოვალ კოლმეურნეებს

გ. თიბიშვილი — ჩვენი კოლმეურნეობიდან სამგორწყალმშენზე მუდმივ სამუშაოდ გამოგზავნილია 27 საუკეთესო კოლმეურნე. ზოგი მათგანი ახლა მებეტონეედ მუშაობს, ზოგი დურგლად, კალატოზად, ზოგიც სამგორწყალმშენის სხვადასხვა სახელოსნოშია. გარდა ამისა, ჩვენი კოლმეურნეობა ყოველსეზონურად ახმარის სამგორელებს 50-60 კაცს. ახლა მასობრივად გამოვედით მაგისტრალური არხის გასაყვანად და ისე მოვაწყეთ საქმე, რომ ნაკისრი სამუშაო, ხუთ დღეში შევასრულეთ.

სამგორის ველის მორწყვის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენში მაგშვებმაც იციან. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა რაიონის კოლმეურნეებს მოგვეხმარონ ამ საშვილიშვილო საქმის გაკეთებაში — სამგორის სარწყავი სისტემის მოწყობაში.

ი. ივანაშვილი — მარტყოფელებმა ყველაზე უკეთ იციან, თუ რა დიდებულ, ბარწყინვალე მომავალს გვიქადის სამგორის სარწყავი. ისეთი ნაყოფიერი მიწა, როგორც ჩვენშია, იშვიათად შეხვდება კაცს. სამგორის მიწა, ჩვენი სოფლისაზე უკეთესია იმიტომ რომ ეს მიწა, ვინ უწყოს რამდენი საუკუნის დასვენებულია. მაგრამ ნიადაგის ხარისხი, თუ მას სათანადო სინესტე არა აქვს, მოსავლის საკითხს ვერ წყვეტს. ჩვენი უდიდესი მტერია გვალვა და წყლება. ბევრს ვმუშაობთ, ნათესებს მოვლასა და პატრონობას არ ვაკლებთ, მაგრამ გვაქვს ისეთი ფართობები, რომ ხორბლის ნათესი ზოგ წელიწადს დათავაგებას ვერ მოასწრებს ისე დაიწვება მზისაგან. სამგორის სარწყავი სისტემით ჩვენ დავამარცხებთ გვალვას. ვაზიანიდან რომ იალნოს მთისკენ გადიხეოთ, თვალწვდენი ველი ჩანს. სამგორის მორწყვის შემდეგ ეს ველი ჩვენი რესპუბლიკის აყვავებულ კუთხედ გადაიქცევა. ამიტომ მუშაობენ მარტყოფელები სამგორის არხის გაყვანაზე ისე, როგორც საკუთარ სასიცოცხლო საქმეზე.

დ. ფენდელიძე — ბატარა ელოს ყდაფოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — აგიტატორებმა გაგვაცანეს, თუ რა უნდა გაკეთდეს წელს, გაისათ და მერმისათვის იმისათვის, რომ 1952 წლიდან სამგორის თვალუწვდენი ველის პირველი ნაკვეთი 12.500 ჰექტარი ფერთობი მოირწყოს. ამასთან მათ გვითხრეს, რომ წელს სამგორის მაგისტრალური არხის გაყვანაში დაგვეხმარებიან არა მარტო ახლომახლო რაიონების კოლმეურნეები, არამედ ზესტაფონის, ორჯონიკიძის (ხარაგოულის) და ბორჯომის რაიონების კოლმეურნეებიც.

შორეული რაიონებიდან კოლმეურნეთა ჩამოსვლა სამგორში განსაკუთრებით სასიხარულოა. ისინი ჩვენ გვეხმარებიან, რათა ამ შეერთებული შრომის შედეგით საქართველოს დედაქალაქი — თბილისი უფრო უხვად უზრუნველყოფთ პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით, ყურძნით და სხვ. ეს არის მთელი ქართველი ხალხის საქმე.

ი. დალაქიშვილი — მინდა სამგორში სამუშაოდ ჩამოსულ კოლმეურნეებს ვუთხრა: არხის გასაყვანად ბატონ-ყმობის დროინდელ ბარ-ბაგრატიონ-მუხრანელის“ მოუხერხებია მცირე მასშტაბის სარწყავი სისტემის მოწყობა, გაუყვანია არხი და 2.000 ჰექტარი უხვმოსავლიანი მიწა გამოუგლეჯია უდაბნოსათვის, მაგრამ ეს სარწყავი სისტემა მალე მოიშალა და ფართობი ხელახლა გაუდაბნოდა. დარჩა მხოლოდ პატარა ობელისკი, რომელიც ახლაც აღმართულია კახეთის გზატკეცილის ერთ-ერთ მოსახვევში სართოველის მახლობლად.

ქართველი ხალხის ამ მრავალსაუკუნოვანი ოცნების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახლა, დიდი სტალინური ეპოქაში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. „არავითარ ხელისუფლებას,—აღნიშნავდა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1947 წლის 3 თებერვალს, — გარდა ჩვენი შშობლიური საბჭოთა ხელისუფლებისა, არ შეეძლებოდა განეხორციელებინა ქართველი ხალხის ეს დიდი ხნის ოცნება“.

სამგორის მშენებლობას საგრძნობი ხნის ისტორია აქვს. ჩვენ ამ ისტორიის წინა პერიოდებს აქ არ მოვიხსენიებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობის დაწყება ხანგრძლივს და მეტად რთულ წინასწარ მზადებას მოითხოვს. საჭიროა ადგილმდებარეობის ზუსტად შესწავლა, ტოპოგრაფიულ თავისებურებათა გამოკვლევა, მახლობელ მდინარეთა რეჟიმების ზუსტად დადგენა და სხვ. ეს მუშაობა დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა. 1940 წელს სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით გადაწყდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყება, მაგრამ ეს საქმე შეაფერხა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენს სამშობლოზე. როდესაც საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დიდი სამამულო ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დაავარცგვინა და შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიადი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შედგენას, ამ გეგმაში შეტანილ იქნა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაც.

ჩამოყალიბდა სამგორის სარწყავი სისტემის სამშენებლო ორგანიზაცია — სამგორწყალმშენი, დაიწყო დიდი მზადება მშენებლობის გასაჩაღებლად (ბინების აგება, გზების გაყვანა, სამენი მასალების დაგროვება, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა), ხოლო შარშან დაიწყო თვით სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ყველას ახსოვს, თუ რა ენთუზიაზმითა და ხალისით გამოდიოდნენ შარშან სამგორის ველზე სამუშაოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონებისა და დედაქალაქის — თბილისის მშრომელები. 1948 წლის განმავლობაში სამგორის ველზე სამუშაოთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღო 17.000-ზე მეტმა მშრომელმა და შესრულებულ იქნა 170.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო. წლის განმავლობაში სამგორის მშენებლებმა საგრძნობლად დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო სამუშაოთა გეგმა და ბევრად მეტი თანხა აითვისეს, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

პარტიამ და ხელისუფლებამ წელს სამგორის მშენებლებს გადიდებული დავალებები მისცეს. წელს მშენებლებმა მუშაობა უნდა განავითარონ ისეთი ანგარიშით, რომ 1952 წელს უკვე შეეძლოთ სამგორის ველის უდაბნოს ერთი დიდი კუთხე 12.000 ჰექტარი ფერთობისა მოვრწყათ, რათა შემდეგ წლებში თანდათანობით გავადიდოთ სარწყავი ფართობი და უახლოეს ხანში აქვეყანოთ იგი 37.500 ჰექტარამდე.

აუცილებელია დავაჩქაროთ სოფელ პალდოსთან მდინარე ირიზე სამგორის ზემო მაგისტრალური არხის სათავის ნაგებობათა მშენებლობა. ეს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა. საჭიროა მდინარის კალაპოტის გამაგრება, სამი საგრძნობლად დიდი გვირაბის გაყვანა (საგვირაბო სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვთ ხრამჰესელებს), მრავალი დიუკერის, აკვედუკის, სიფონის და მთელ რიგ სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა და, რაც მთავარია, თვით მაგისტრალური არხის დაბეტონება. გარდა ამისა, პირველი რიგის გადაუდებელი სამუშაოა თბილისის დიდი წყალსაცავის აგება, რასაც დედაქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა უკვე შეარქვა „თბილისის ზღვა“, ასეულ მილიონობით კუბიტრ წყალს დაიტევს. აქ წელს უნდა დავამთავროთ ჯუბრების კეთება, წყლის საშვები გვირაბის მოწყობა, მთელ რიგ სხვა ნაგებობათა გამართვა.

გარდა ამისა, უნდა დავაჩქაროთ ქვეყ. მაგისტრალური არხის გაყვანა. ამ არხით ივრის წყალი სამგორის ველის მორწყვის შემდეგ წავა გარდაბნის მიმართულებით ახალი ფართობების მოსარწყავად.

უახლოესი ამოცანაა აგრეთვე პირველი 12.000 ჰექტარის მოსარწყავად წვრილ არხთა ქსელის მოწყობა, ხოლო შემდეგ 1951 წლიდან სამგორის მშენებლები უნდა შეუდგნენ ეგრეთწოდებული სიონის წყალსაცავის (სათავეის წყალსაცავი სოფელ სიონთან) მშენებლობას.

ასეთი ამოცანები დგას სამგორის მშენებელთა წინაშე უახლოესი მომავლისათვის.

მიმდინარე წლის ბოლომდე ჩვენ უნდა აკეთებულ-ოთ ბრავალი ათეული მილიონი მანეთი. ამ თანხის ასათვისებლად საჭირო იქნება წელს დავამტკიცოთ ზემო მაგისტრალური არხი 6 კილომეტრის მანძილზე, ძირითადად დავამთავროთ თბილისის წყალსაცავის მშენებლობა და მუშაობაში ისეთი ტემპი ავიღოთ, რომ 1950 წელს შეეძლოთ სამჯერ იმაზე მეტი თანხის ათვისება, ვიდრე მიმდინარე წელს.

სამგორის მშენებელთა კოლექტივს დიდი მუშაობა, ენერგიის დაძაბვა და მაღალი უნარის გამოვლენება მოუხდება ამისათვის, რომ თავი გაართვას ამ ამოცანებს. საჭიროა მშენებლებმა, პირველ რიგში სამგორელმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა, შეეძლოთ მაღალკვალიფიციური კადრების ჩაბმა მშენებლობაში, სწრაფად განვავითაროთ სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გავშალოთ საბანო მშენებლობა და მუშებს შევუქმნათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები.

ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსების ამოცანაა წელს ისე მოვაწყოთ საქმე, რომ შეეძლოთ საბეტონო სამუშაოთა წარმოება შემოდგომა-ზამთრის პირობებში, გაბედულად დავნერგოთ საბჭოთა ჰიდროტექნიკის უახლესი მიღწევები.

სამგორის მშენებლებს ამასთან დიდი დახმარება ესაჭიროებათ. წელს ჩვენ ორგანიზებულად უნდა შევაგროვოთ 1.000 კაცამდი მაღალკვალიფიციური მუშა, ასეთი მუშები ჰყავთ კოლმეურნეობებს და მათ შეგროვებაში ჩვენი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებას მოველით. ამ მუშებისათვის დაწესებულია მეტად შეღავათიანი პირობები. გარდა ამისა, რომ მათ შრომას სამგორწყალმშენი აანაზღაურებს საერთო წესით, როგორც ეს ყველა საწარმოში და მშენებლობაზეა, კოლმეურნეობებიდან აქ ჩამოსულებს თვით კოლმეურნეობები სამგორში შესრულებული ყოველი ერთი ნორმისათვის დაურიცხავენ ნახევარ შრომადღეს. მუშათა ორგანიზებულად შეგროვება უნდა დავამთავროთ ივლისში. სამგორის მშენებლობისადმი ამ მხრივ პირველი დახმარების სანიმუშო მაგალითი მოგვცა თიანეთის რაიონმა, სადაც სამგორში მუშამივ სამუშაოზე გამოსაგზავნად უკვე შეაგროვეს 20 კაცი. საჭიროა თიანეთია მაგალითს რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც მიბაძონ.

15 მაისიდან სამგორის ველზე მასობრივად გამოდიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონნთა კოლმეურნეები, რომლებიც უმაგალითო ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით მუშაობენ ზემო მაგისტრალური არხის გაყვანაზე. უკვე იმუშავეს და დიდი წარმატებით შეასრულეს არხის გასაყვანად ნაკისრი ვალდებულებანი მცხეთის და გარდაბნის რაიონების კოლმეურნეებმა. ამჟამად მუშაობენ ბოლნისის, თეთრი წყაროსა და თბილისის რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეები. ისინი ერთიმეორეზე უკეთესად, ერთიმეორეზე მეტი წარმატებით ასრულებენ ვალდებულებებს და უაღრესად დიდ დახმარებას გვიწევენ სამგორის მშენებლებს.

სამგორელები დიდ დახმარებას მოელიან თბილისის საწარმოთა კოლექტივებისაგან. ჩვენ ერთობ გვიჭირს სარემონტო ბაზებსა და სახელოსნოებში სამუშაოდ კვალიფიციური მუშების მონახვა. ყოველ საწარმოს შეუძლია სამგორელებს დაგვიმმოს თითო-ოროლა კვალიფიციური მუშა და ეს ჩვენთვის ფასდაუდებელი დახმარება იქნება, ხოლო სამგორმშენის სახელოსნოებში მოსულ მუშებს ჩვენ გულდაწყვეტილს არ დავტოვებთ. საჭიროა აგრეთვე ჩვენი დაკვეთები საწარმოებმა სწრაფად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

მშენებლები მოველით თბილისის ხელოვნების მუშაკთა დახმარებასაც. სამგორელებს უყვართ ხელოვნება. მშენებლები დიდი ინტერესით მოუსმენენ ჩვენს მსახიობებს, შემსრულებლებს, და საჭიროა მათ უფრო ხშირად მოგვინახულონ.

საქართველოს მწერლებისა და მხატვრებისადმიც გვაქვს სათხოვარი — მოვიდნენ ჩვენთან, გაეცნონ ჩვენს მშენებლებს, ფერწერის ოსტატებმა თავისებურად, ხოლო მხატვრული სიტყვის ოსტატებმა სტრიქონებით აღბეჭდონ მომავალ თაობათათვის, თუ როგორ აცოცხლებენ სამგორის მკვდარ მიწას ლენინ-სტალინის პარტიის მიერ, დიდი სტალინის მიერ შთაგონებული ჩვენი ადამიანები, სამგორის მშენებლები.

ი. ბუღდიაშვილი
სამგორწყალმშენის უფროსი

„ბატარდეს ღონისძიებანი წყალთა მეურნეობის სამუშაოების გასაძლიერებლად, ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობის გაუფართოებლად იმ ფარაუდით, რომ შახლოესულ 7-8 წლის განმავლობაში უზარუნველყოფილ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის მთელი დაბლობი ნაწილის მორწყვა.

ამ დარგში პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის, როგორც სახალხო მშენებლობის, წარმატებით დამთავრება, რამაც 37,5 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწაები უნდა მოგვცეს“...

(საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის რეზოლუციიდან).

„სამგორის სისტემა რთული და ძვირად ღირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. ჩვენ ულებრივი სარწყავი არხებისა და ქსელის გარდა, იგი შეიცავს ორ უზარმაზარ 620 მილიონზე მეტი კუბური მეტრი წყლის საერთო ტევადობის წყალსაცავს. 13 კილომეტრ მანძილზე მაგისტრალური არხი გვირაბებისა და ბალკირიბისაგან შედგება. არხზე შენდება 36 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები. არავითარ ხელისუფლებას, გარდა ჩვენი მშრომელი საბჭოთა ხელისუფლებისა, არ შეეძლებოდა განეხორციელებინა ქართველი ხალხის ეს დიდი ხნის ოცნება“.

კ. ჩარკვიანი

★ ★ ★

სამგორის სახალხო მშენებლობა და მისი საჭიროებანი

სამგორის ველზე სარწყავი წყლის გაყვანას ოდითვე ოცნებობდნენ საქართველოს საუკეთესო შვილები, მაგრამ მათი ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა. მხოლოდ ერთი საუკუნის წინათ, ვინმე „იმერეთ-კაპიტან ბაგრატონ-მუხრანელს“ მოუხერხებია მცირე მასშტაბის სარწყავი სისტემის მოწყობა, გაუყვანია არხი და 2.000 ჰექტარი უხვმოსავლიანი მიწა გამოუგლეჯია უდაბნოსათვის, მაგრამ ეს სარწყავი სისტემა მალე მოიშალა და ფართობი ხელახლა გაუდაბნოდა. დარჩა მხოლოდ პატარა ობელისკი, რომელიც ახლაც აღმართულია კახეთის გზატკეცილის ერთ-ერთ მოსახვევში სართოველის მახლობლად.

ქართველი ხალხის ამ მრავალსაუკუნოვანი ოცნების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახლა, დიდი სტალინური ეპოქაში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. „არავითარ ხელისუფლებას,—აღნიშნავდა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1947 წლის 3 თებერვალს, — გარდა ჩვენი შშობლიური საბჭოთა ხელისუფლებისა, არ შეეძლებოდა განეხორციელებინა ქართველი ხალხის ეს დიდი ხნის ოცნება“.

სამგორის მშენებლობას საგრძნობი ხნის ისტორია აქვს. ჩვენ ამ ისტორიის წინა პერიოდებს აქ არ მოვიხსენიებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობის დაწყება ხანგრძლივს და მეტად რთულ წინასწარ მზადებას მოითხოვს. საჭიროა ადგილმდებარეობის ზუსტად შესწავლა, ტოპოგრაფიულ თავისებურებათა გამოკვლევა, მახლობელ მდინარეთა რეჟიმების ზუსტად დადგენა და სხვ. ეს მუშაობა დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა. 1940 წელს სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით გადაწყდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყება, მაგრამ ეს საქმე შეაფერხა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენს სამშობლოზე. როდესაც საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დიდი სამამულო ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დაავარცგვინა და შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიადი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შედგენას, ამ გეგმაში შეტანილ იქნა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაც.

ჩამოყალიბდა სამგორის სარწყავი სისტემის სამშენებლო ორგანიზაცია — სამგორწყალმშენი, დაიწყო დიდი მზადება მშენებლობის გასაჩაღებლად (ბინების აგება, გზების გაყვანა, სამენი მასალების დაგროვება, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა), ხოლო შარშან დაიწყო თვით სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ყველას ახსოვს, თუ რა ენთუზიაზმითა და ხალისით გამოდიოდნენ შარშან სამგორის ველზე სამუშაოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონებისა და დედაქალაქის — თბილისის მშრომელები. 1948 წლის განმავლობაში სამგორის ველზე სამუშაოთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღო 17.000-ზე მეტმა მშრომელმა და შესრულებულ იქნა 170.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო. წლის განმავლობაში სამგორის მშენებლებმა საგრძნობლად დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო სამუშაოთა გეგმა და ბევრად მეტი თანხა აითვისეს, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

პარტიამ და ხელისუფლებამ წელს სამგორის მშენებლებს გადიდებული დავალებები მისცეს. წელს მშენებლებმა მუშაობა უნდა განავითარონ ისეთი ანგარიშით, რომ 1952 წელს უკვე შეეძლოთ სამგორის ველის უდაბნოს ერთი დიდი კუთხე 12.000 ჰექტარი ფერთობისა მოვრწყათ, რათა შემდეგ წლებში თანდათანობით გავადიდოთ სარწყავი ფართობი და უახლოეს ხანში აქვეყანოთ იგი 37.500 ჰექტარამდე.

აუცილებელია დავაჩქაროთ სოფელ პალდოსთან მდინარე ირიზე სამგორის ზემო მაგისტრალური არხის სათავის ნაგებობათა მშენებლობა. ეს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა. საჭიროა მდინარის კალაპოტის გამაგრება, სამი საგრძნობლად დიდი გვირაბის გაყვანა (საგვირაბო სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვთ ხრამჰესელებს), მრავალი დიუკერის, აკვედუკის, სიფონის და მთელ რიგ სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა და, რაც მთავარია, თვით მაგისტრალური არხის დაბეტონება. გარდა ამისა, პირველი რიგის გადაუდებელი სამუშაოა თბილისის დიდი წყალსაცავის აგება, რასაც დედაქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა უკვე შეარქვა „თბილისის ზღვა“, ასეულ მილიონობით კუბიტრ წყალს დაიტევს. აქ წელს უნდა დავამთავროთ ჯუბრების კეთება, წყლის საშვები გვირაბის მოწყობა, მთელ რიგ სხვა ნაგებობათა გამართვა.

გარდა ამისა, უნდა დავაჩქაროთ ქვეყ. მაგისტრალური არხის გაყვანა. ამ არხით ივრის წყალი სამგორის ველის მორწყვის შემდეგ წავა გარდაბნის მიმართულებით ახალი ფართობების მოსარწყავად.

უახლოესი ამოცანაა აგრეთვე პირველი 12.000 ჰექტარის მოსარწყავად წვრილ არხთა ქსელის მოწყობა, ხოლო შემდეგ 1951 წლიდან სამგორის მშენებლები უნდა შეუდგნენ ეგრეთწოდებული სიონის წყალსაცავის (სათავეის წყალსაცავი სოფელ სიონთან) მშენებლობას.

ასეთი ამოცანები დგას სამგორის მშენებელთა წინაშე უახლოესი მომავლისათვის.

მიმდინარე წლის ბოლომდე ჩვენ უნდა აკეთებულ-ოთ ბრავალი ათეული მილიონი მანეთი. ამ თანხის ასათვისებლად საჭირო იქნება წელს დავამტკიცოთ ზემო მაგისტრალური არხი 6 კილომეტრის მანძილზე, ძირითადად დავამთავროთ თბილისის წყალსაცავის მშენებლობა და მუშაობაში ისეთი ტემპი აკეთოთ, რომ 1950 წელს შეეძლოთ სამჯერ იმაზე მეტი თანხის ათვისება, ვიდრე მიმდინარე წელს.

სამგორის მშენებელთა კოლექტივს დიდი მუშაობა, ენერგიის დაძაბვა და მაღალი უნარის გამოვლენება მოუხდება ამისათვის, რომ თავი გაართვას ამ ამოცანებს. საჭიროა მშენებლებმა, პირველ რიგში სამგორელმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა, შეეძლოთ მაღალკვალიფიციური კადრების ჩაბმა მშენებლობაში, სწრაფად განვავითაროთ სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გავშალოთ საბანო მშენებლობა და მუშებს შევუქმნათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები.

ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსების ამოცანაა წელს ისე მოვაწყოთ საქმე, რომ შეეძლოთ საბეტონო სამუშაოთა წარმოება შემოდგომა-ზამთრის პირობებში, გაბედულად დავნერგოთ საბჭოთა ჰიდროტექნიკის უახლესი მიღწევები.

სამგორის მშენებლებს ამასთან დიდი დახმარება ესაჭიროებათ. წელს ჩვენ ორგანიზებულად უნდა შევაგროვოთ 1.000 კაცამდი მაღალკვალიფიციური მუშა, ასეთი მუშები ჰყავთ კოლმეურნეობებს და მათ შეგროვებაში ჩვენი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებას მოველით. ამ მუშებისათვის დაწესებულია მეტად შეღავათიანი პირობები. გარდა ამისა, რომ მათ შრომას სამგორწყალმშენი აანაზღაურებს საერთო წესით, როგორც ეს ყველა საწარმოში და მშენებლობაზეა, კოლმეურნეობებიდან აქ ჩამოსულებს თვით კოლმეურნეობები სამგორში შესრულებული ყოველი ერთი ნორმისათვის დაურიცხავენ ნახევარ შრომადღეს. მუშათა ორგანიზებულად შეგროვება უნდა დავამთავროთ ივლისში. სამგორის მშენებლობისადმი ამ მხრივ პირველი დახმარების სანიმუშო მაგალითი მოგვცა თიანეთის რაიონმა, სადაც სამგორში მუშამივ სამუშაოზე გამოსაგზავნად უკვე შეაგროვეს 20 კაცი. საჭიროა თიანეთია მაგალითს რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც მიბაძონ.

15 მაისიდან სამგორის ველზე მასობრივად გამოდიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონნთა კოლმეურნეები, რომლებიც უმაგალითო ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით მუშაობენ ზემო მაგისტრალური არხის გაყვანაზე. უკვე იმუშავეს და დიდი წარმატებით შეასრულეს არხის გასაყვანად ნაკისრი ვალდებულებანი მცხეთის და გარდაბნის რაიონების კოლმეურნეებმა. ამჟამად მუშაობენ ბოლნისის, თეთრი წყაროსა და თბილისის რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეები. ისინი ერთიმეორეზე უკეთესად, ერთიმეორეზე მეტი წარმატებით ასრულებენ ვალდებულებებს და უაღრესად დიდ დახმარებას გვიწევენ სამგორის მშენებლებს.

სამგორელები დიდ დახმარებას მოელიან თბილისის საწარმოთა კოლექტივებისაგან. ჩვენ ერთობ გვიჭირს სარემონტო ბაზებსა და სახელოსნოებში სამუშაოდ კვალიფიციური მუშების მონახვა. ყოველ საწარმოს შეუძლია სამგორელებს დაგვიმმოს თითო-ოროლა კვალიფიციური მუშა და ეს ჩვენთვის ფასდაუდებელი დახმარება იქნება, ხოლო სამგორმშენის სახელოსნოებში მოსულ მუშებს ჩვენ გულდაწყვეტილს არ დავტოვებთ. საჭიროა აგრეთვე ჩვენი დაკვეთები საწარმოებმა სწრაფად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

მშენებლები მოველით თბილისის ხელოვნების მუშაკთა დახმარებასაც. სამგორელებს უყვართ ხელოვნება. მშენებლები დიდი ინტერესით მოუსმენენ ჩვენს მსახიობებს, შემსრულებლებს, და საჭიროა მათ უფრო ხშირად მოგვინახულონ.

საქართველოს მწერლებისა და მხატვრებისადმიც გვაქვს სათხოვარი — მოვიდნენ ჩვენთან, გაეცნონ ჩვენს მშენებლებს, ფერწერის ოსტატებმა თავისებურად, ხოლო მხატვრული სიტყვის ოსტატებმა სტრიქონებით აღბეჭდონ მომავალ თაობათათვის, თუ როგორ აცოცხლებენ სამგორის მკვდარ მიწას ლენინ-სტალინის პარტიის მიერ, დიდი სტალინის მიერ შთაგონებული ჩვენი ადამიანები, სამგორის მშენებლები.

ი. ბუღდიაშვილი
სამგორწყალმშენის უფროსი

ეს დღეები სამგორის ველზე

— ბევრი ხელის ჭირიმეო,—უთქვამს ძველთა მიწასთან მძიმე ბრძოლაში ჩაბმულ ჩვენს გლეხს და ამ სიტყვებს ხშირად ისსენებენ ახლა ზემო სამგორის მაგისტრალურ არხზე მოფუშავე კოლმეურნეები, როცა არხის პროფილის თვალდათვალ ზრდას ხედავენ.

სოლოდინ მათიანშვილი ძველმარაბდელი კოლმეურნეა თეთრიწყაროს რაიონიდან, თმაშეერცხლილი, დინჯი, საერთო საქმისათვის გულშემატკივარი. მთი სოფლიდან აქ ჩამოსულმა მშენებლებმა მას მიანდეს სადილ-ვახშმის დამზადება. დაკალეს ცხვრები, ცეცხლზე ქვაბები შედგეს, ყაურმის კეთებას შეუდგნენ.

— სირცხვილი არ არის ამოდენა კაცი ყაურმას ვხარშავდე, სხვები კი მეშაობდნენ, — თქვა მან, მზრუნველის ხალათი შემოიხსნა, თანაშემწეს დაუძახა მწვანილი და სანელებელი თავის დროზე და ბლომად ჩაეყარა ქვაბში, რათა თვითონ სამიოდ საათი მაინც წაეშუშავნა არხის მშენებლობაზე, წერაქვს ხელი დაავლო და მეზობლებისაკენ გაეშურა.

* * *

ნავაზშმეფს ბანაკი არ მიწყნარებულა, ავტომობილთა ფარების შუქზე დიდძალი ხალხი შეგროვებულიყო, ელდაწყლები, ლილოელები და მარტყოფელები ჭიდობობთ ერთობოდნენ.

დიდმელების კარავთან კი ამ დროს კოლმეურნე მშენებლებს მათი თავმჯდომარე ადამ გენგაბაშვილი ეუბნებოდა: თუ ხვალ საღამომდე მაინც არ დავამთავრეთ ჩვენს უბანზე მეშობა, თავი შოგვეჭრება მთელ მშენებლობაზე. ყველანი წავედენ, ყველანი კოტაკად გამშზადებენ არხს თავთავიანთ ნაკვეთებზე და მარტო ჩვენ დავრჩებით აქ ობლებივითო. რას იტყვის ალეკსი ბერიაშვილი, შეეკითხა თავმჯდომარე ექვე მდგომს.

— მე იმას ვიტყვი, რომ სანამ არ გვეძინება, ჩვენი ავტომობილები მივაყენოთ ჩვენსაკე ნაკვეთზე. თუ კი გლდანელებს შუქზე ჭიდაობა შეუძლიათ, ჩვენ რატომ უნდა გაგვეჯირღეს მეშობა?

ეს რა კარგი აზრი გამოთქვა ამ ოჯახაშენებულმაო, და დიდმელებმა ერთხმად გადაწყვიტეს არხზე სამუშაოდ დაბრუნება.

მეორე დღეს შუადღისას შეაჯამეს ნამუშევარი. 65 დიდმელ კოლმეურნეს 500 კუბური მეტრი მიწა ამოეღო სამ დღეში, სამუშაო ვადამდე 5 დღენახევრით აღრე იყო დამთავრებული. გლდანელთა, ლილოელთა და მარტყოფელთა ნამუშევართან ერთად ინჟინრებმა დიდმელების ნაკვეთიც კარგი შეფასებით მიიღეს.

* * *

კუმისელ კოლმეურნე მშენებლებს არასოდეს დაავიწყდებათ მერგოლურ დათა სოზიაშვილის კეთილშობილური მოქმედება. ღამით კოკისპირულმა წვიმამ საარხეო გაჭრილი მიწა თავამდე გაავსო წყლით. დათა სოზიაშვილის რგოლის სამუშაო ადგილი ნაოჭარს გადარჩა და ამტომ რგოლი მუშაობა მაშინ დაამთავრა, როდესაც სხვებს არხიდან წყალიც არ ჭქონდათ ამოღებული.

დაავლეზმაოთ მეზობლებს, მოეწოდა თავის რგოლის წევრებს სოზიაშვილმა. უხერხულია, ჩვენ სახლში წავიდეთ, და მეზობლები კი აქ დავტოვოთო.

რგოლის წევრები ჯერ კოკაკვაშრილ მიხეილ ლაღიაშვილის ოჯახში წაეხმარნენ, ერთი დღის საქმე სამ საათში გააკეთებინეს, ხოლო შემდეგ კომკავშირელებით გამოავლებულნი სხვა უბნებზე გადავიდნენ და საღამოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან გამოსული ყველა 103 კუმისელი კოლმეურნე არხის ერთ პატარა, თუმცა ჯერ დაუთმავრებელ ნაკვეთს წაესია.

კუმისელებმა პირველებმა დაამთავრეს მუშაობა.

* * *

15 მაისიდან დაიწყეს კოლმეურნე მშენებლებმა მასობრივად გამოსვლა ზემო სამგორის არხის მშენებლობაზე. უკვე გამოვიდნენ და არხის გაყვანაში მონაწილეობა მიიღეს მცხეთის, გარდაბნის, თბილისის, ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეებმა.

წინასწარი ვარაუდით, მათ 1 ივნისამდე უნდა შეესრულებინათ 40.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო.

23 მაისს შეჯამებული ცნობებიდან გამოირკვა, რომ უკვე შესრულებულია 39.280 კუბური მეტრი მიწის სამუშაო.

მცხეთელმა კოლმეურნეებმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს 13,6 პროცენტის გადაჭარბებით, გარდაბნელებმა 1,5 პროცენტის და ბოლნისელებმა 6,8 პროცენტის გადაჭარბებით. დანარჩენთა ნამუშევარი ჯერ არ არის შეჯამებული.

კოლმეურნე მშენებლებს არასოდეს დაავიწყდებათ სამგორში გატარებული დღეები. ისინი შეელიშვილებსაც უამბობენ—ერთ დროს ჩვენც ვმონაწილეობდით სამგორის მშენებლობაშიო.

დ. ლომთაძე

მშენებლობის კალენდარი

ზემოსამგორის მაგისტრალური არხის გასაყვანად სამუშაოთა შესასრულებლად კოლმეურნე მშენებლები მასობრივად გამოვლენ:

1 ივნისს—საქართველოს ოსეთის ავტონომიური ოლქიდან და გორის რაიონიდან;

10 ივნისს — მარნეულისა და დუშეთის რაიონებიდან;

20 ივნისს — საგარეჯოს, ქარელისა და ხაშურის რაიონებიდან;

1 ივლისს — ბასიანი, ქაბალეთისა და ბურჯაანის რ

გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესია

პარიზი, 23 მაისი. (საკ-დისს სპეც. კორ.). დღეს აქ, ვარდისფერ შენობაში, გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მეექვსე სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. შუმანი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. აჩესონი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ბევინი, ადგილთვე მათი მრჩეველები და ექსპერტები. სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში არიან ამბასადორი ვ. ა. ჩუიკოვი, ა. ა. სმირნოვი, ა. ვ. ბოგომოლოვი, ე. ს. სემიონოვი და ბ. თ. პოდცეროსი; საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობაში—ა. პაროდი, ფრანსუა პონსე, მ. კეტდე მიურელი და ე. ალფანი; ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციაში—ფ. ჯესუპი, ჯ. დალეს, რ. მერფი, ჩ. ბოლენ; ინგლისის დელეგაციაში—ი. კირკპატრიკი და გენერალი რობერტსონი.

საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, სხდომებზე თავმჯდომარეობდა იქნებიან საბჭოს წევრი მინისტრები რიგ-რიგობით. პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა შუმანი.

მინისტრებმა დაამტკიცეს სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. გერმანიის ერთიანობა ეკონომიური პრინციპების, პოლიტიკური პრინციპებისა და სამოკავშირეო კონტროლის ჩათვლით.
2. ბერლინი და ვიენუის საკითხი.
3. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება.
4. ხელშეკრულება ავსტრიასთან.

დღის წესრიგის განხილვისას საბჭოთა დელეგაციამ აზრი გამოთქვა, რომ სესიაზე ცალ-ცალკე იქნას განხილული გერმანიის ერთიანობის საკითხი და გერმანიასთან ოთხმხრივი სამოკავშირეო საკითხი.

ა. ი. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და გულდასმით შესწავლის მოითხოვს. ბ-ნ აჩესონს საწინააღმდეგო აზრი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს საკითხები ურთიერთ დაკავშირებული და ამიტომ ერთად უნდა იქნას განხილული, დამაჯერებელი არ არის.

„სამოლო ანგარიშით, — შენიშნა ამჰ ვიშინსკიმ,—ყველა საკითხი, რომელიც გერმანიას შეეხება, ისე თუ ისე ერთმანეთს შორის არის დაკავშირებული, მაგრამ ყველანი შეეთანხმდით ამაზე, მაგალითად, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხი, რომელიც მეიდრომდე არის დაკავშირებული გერმანიის პოლიტიკური ერთიანობის საკითხთან, ცალკე იქნას განხილული. ყველანი შეეთანხმდით ამაზე, რომ ვიენუის საკითხი ცალკე იქნას განხილული, ოღონდ ეგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიური ერთიანობის საკითხთან".

მაგრამ, ვიშინსკის დანარჩენმა მინისტრებმა განაცხადეს, რომ მათ მხედველობაში აქვთ ერთად განხილული გერმანიის ყველა საკითხი, ოთხმხრივი სამოკავშირეო კონტროლის საკითხის ჩათვლით, საბჭოთა დელეგაციის აღარ მოეთხოვება, რომ განხილვა ცალ-ცალკე მოხდეს.

ვიშინსკი შეეხო დღის წესრიგის მეორე პუნქტს და აღნიშნა, რომ ფიური სწორი იქნებოდა ეგი ჩამოგვეყალიბებინა ასე: „გერმანია, ბერლინის ჩათვლით, და ვიენუის საკითხი". მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიენუის საკითხი უნდა გადაიჭრას მთლიანად გერმანიასთან ერთად და არა მარტო ბერლინისათვის. თავმჯდომარე შუმანმა განმარტა, რომ მან, როგორც ბერლინისა და ვიენუის შესახებ წინადადების ავტორმა, მხედველობაში ჰქონდა გადაეწყვიტა ვიენუის საკითხი არა მარტო ბერლინისათვის, არამედ მთლიანად გერმანიისათვის. საბჭოთა დელეგაციის აღარ მოუთხოვია ეგი წესრიგის ამ პუნქტის ფორმალური დაზუსტება.

ბევინმა განაცხადა, რომ მას სურს დააზუსტოს ავსტრიის ხელშეკრულების საკითხი. „მე ფიქრეკ,—თქვა მან,—რომ საბჭოთა დელეგაციას შესაძლოდ მოიჩნია ამ საკითხის განხილვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწესრიგდება ის საკითხები, რომლებიც გერმანიას შეეხება". ამაზე ვიშინსკიმ შენიშნა, რომ დელეგაციი თანახმა გადავიდეს ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე მას შემდეგ, რაც განხილული იქნება გერმანიის საკითხები.

— ფფერქრობ, ჩვენ შეეძლებთ წარმატებით გადაეწყვეტოთ ეს საკითხები,—შენიშნა ვიშინსკიმ.

— ეს თქვენზეა დამოკიდებული,—შენიშნა ბევინმა.

—აქ ჩვენ ოთხნი ვართ,—თქვა ვიშინსკიმ,—და მაშასადამე სამზე სამეკერ უფრო მეტია დამოკიდებული, ვიდრე ერთზე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ვიშინსკიმ მინისტრების საბჭოს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დღის წესრიგში აღსანიშნავია ხელშეკრულების საკითხის შეტანის შემდეგ სწორი არ იქნებოდა არ გვეფიქრა ისეთ საკითხზე, როგორიცაა საზაო ხელშეკრულება ავსტრიასთან. ამასთან დაკავშირებით ვიშინსკიმ დააყენა საკითხი, რომ დადგენილ იქნას, თუ როდის შეიკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო ჩინეთის მონაწილეობით ავსტრიასთან საზაო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.

— მე წინადადება არ შემომაქვს, რომ ეს საკითხი შეეფანთო ახლანდელი სესიის დღის წესრიგში, — განმარტა ვიშინსკიმ.—საკმარისია ამ სესიაზე გადაწყვეტილთ ისეთი საკითხები, როგორიცაა გერმანიის საკითხები და ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი. მაგრამ ჩვენ ინეიათად ვეფიქრეთ ერთმანეთს. ამიტომ მოსაწვევნილი იქნებოდა ახლავე დადგენდნენ, თუ როდის შეიკრიბება კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო ჩინეთის მონაწილეობით ავსტრიასთან საზაო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.

ჯ. აჩესონმა განაცხადა, რომ ავსტრიასთან საზაო ხელშეკრულების საკითხი, რთული საკითხია და საჭიროა დრო, რომ ვიფიქროთ მასზე. დაიმიწმა რა ის, რომ თავის დროზე შექმნილი იყო შორეული აღმოსავლეთის კომისია, აჩესონმა გადაკვრით თქვა, „შესაძლოა ეს საკითხი დაექვემდებაროს კომისიას" და არა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსო.

ე. ბევინმა განაცხადა, რომ მან ინსტრუქციები ეუნდა მიიღოს თავისი მთავრობისაგან, ვინაიდან ინძრიული საკითხი ეხება აგრეთვე ბრიტანეთის დომინიონებს — ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, ინდოეთსა და სხვ.

ვიშინსკიმ უპასუხა აჩესონს და მოაგონა, რომ პოტსდამის შეთანხმებაში ნათლად არის ნაჩვენი: „კონფერენციამ მიაღწია შეთანხმებას ხუთი მთავარი სახელმწიფოს წარმომადგენელს—საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემნახავ შესახებ, მზადდნიანი მოწესრიგებისათვის საბერო მოსამზადებელი ფუნქციის გასაგრძელებლად". ეს ხუთი სახელმწიფოა სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. შემდეგ პოტსდამის შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ საზაო ხელშეკრულებათა მოსამზადებლად და „თვითეული ამ ამოცანის გადასაწყვეტად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო შედგება კპბეულაციის იმ პირობების ხელმოწერ სახელმწიფოთა წარმომადგენელი წევრებისგან, რაც ნაკარნახევი იყო იმ მტრული სახელმწიფოსათვის, რომელსაც ეს ამოცანა შეეხება".

— დღემდე,—თქვა ვიშინსკიმ,—ჩინეთი, ამ დებულებების თანახმად, მონაწილეობას არ იღებდა მთელ რიგ საზაო ხელშეკრულებათა მომზადებაში, მაგრამ ავსტრიის საზაო ხელშეკრულება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ უნდა მოამზადოს ჩინეთის მონაწილეობით, ვინაიდან ავსტრიის კპბეულაციია ნაკარნახევი იყო აგრეთვე ჩინეთის მიერ.

ვიშინსკი შეეხო ბევინის მიერ ავსტრიასთან საზაო ხელშეკრულების მომზადებაში ბრიტანეთის დომინიონთა დინჯტერესების დამოწმებას და აღნიშნა, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ავსტრალია და ახალი ზელანდია, რასაკვირველია, შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ საზაო მოწესრიგებაში ავსტრიასთან, მაგრამ სათანადო სტადიაზე. ხელშეკრულების წინასწარი მომზადება კი უნდა განახორციელოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ ამ შემადგენლობით, რომელიც გათვალისწინებულია პოტსდამის შეთანხმებით. ვიშინსკიმ ამ შენიშვნებს წინააღმდეგობა არ შეხვედრია და თავმჯდომარე შუმანმა წინადადება წამოაყენა დაბრუნებოდნენ საბჭოთა დელეგაციის მიერ დაყენებულ საკითხს ამ სესიის ერთერთ შემდეგ სხდომაზე.

ამით დამთავრდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც სამ საათს გასტანა. ხვალ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო შეუდგება დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ გერმანიაში პიერ ვილონს უარი უთხრეს ვიზის მიცემაზე

პარიზი, 23 მაისი. (საკ-დისი). როგორც პრესა იუწყება, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ. გერმანიაში საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატს პიერ ვილონს უარი უთხრეს ინგლისის საოკუპაციო ზონაში შესვლის ნებართვის მიცემაზე.

22 მაისს ბონში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა გერმანიის დასავლეთ საოკუპაციო ზონების კონფერენციი. ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ დელეგატები, რომლებიც პარიზში შემდგარ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მომზადების პეროიოდში ჩამოყალიბებულ დასავლეთი საოკუპაციო ზონების მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. ამ დელეგატებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში იმის გამო, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ მათ ურთ ეთხრეს საფრანგეთში შესასვლელი ვიზის მიცემაზე.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სამდივნომ პიერ ვილონს დაავალა ყოფილიყო მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენელი ბონის კონფერენციაზე. მაგრამ გერმანიის ოკუპაციის ინგლისური ზონის დასავლეთი საოკუპაციო ზონების მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. ამ დელეგატებმა ბონში ეკონომიკურ საკითხებზე ერთ-ერთ წუხდებულ „პროფკავშირულმა ოპოზიციამ" რომელსაც შუმახერელები ხელმძღვანელობენ, სადა პროფკავშირეები გადიეცა მოეწყო ბერლინის დასავლეთ სექტორიანის ქალაქის რკინიგზის ტრანსპორტზე. შუმახერელები გაფიცეს ამ სამაბად ამას ასახელებენ, რომ ბერლინის რკინიგზეთის დირექცია, რომელიც საბჭოთა სექტორში იმყოფება, რკინიგზელებს ხელფასს აღმოსავლეთის მარკებით უხდის და არა დასავლეთის მარკებით, რომლებიც, როგორც ცნობილია, შემოღებულ იქნა დასავლეთ სახელმწიფოთა ცალმხრივი მოქმედებით. ასეთი სპობის წამოყენებით გაფიცეს ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები ცდილობენ დაფარონ თავიანთი პოლიტიკური ვარაუდი.

მაგრამ პროფკავშირ ჩიეფუნმა, დიდძალი მუშა და მოსამსახურე სამეშაოდ გამოდგა. 12 ათასი მუშამოსამსახურედან მუშაობა შეწყვეტა სულ ბეეი 700 კაცმა. ბერლინის მშრომელები ყოველნაირად დახმარებას უწევენ რკინიგზების აფიანისტრაციას, მეტ წილ უსაზრო მატარებლების მიმოსვლა ნორმალური.

გაფიცეს ორგანიზატორებმა, რომლებიც თავიანთი წამოწყების ჩაფუშვის ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ, ითამაშეს გერმანული პოლიცია, რომელსაც კონტროლ უწევენ დასავლეთის სოიუპაციო ხელისუფალნი. პოლიციელებმა სცადეს მექანიკოთ ეიძულებინათ მუშა-მოსამსახურეები შეწყვეტათ მუშაობა, დაამატებრივ ინ ბარი, რომელნიც მუშაობას განაგრძობდნენ, მიმართეს დეეინოლელ აქტებს, რომელთა შედეგად მთელ რიგ სადგურებში დაზიანებულ იქნა ლოკომოტივი და სხვა ნაგებობანი. ადგილობრივ ელერანლისტთა წრეებში ხაზგასმით აღინიშნავენ, რომ ეს უსმგავსოება ხდება არა მარტო დასავლეთ სოიუპაციო ხელისუფალთა წყაროებით, არამედ მათი მხრივ ეროვნული წევრეზებითაც. ასეთი წამაქეზებელი ცნობები დაბეჭდეს პრესაში ამერიკის გერეროვანმა ჰალიან და ჰეიმმა.

ბერლინის დემოკრატიული საზოგადოებრიობა და პრესა აღნიშნავენ, რომ ეს ზოოგოიკეოლ ცდა შეფარდებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პაიროს სესიის გახსნასთან. გაზეთი „ბერლინერ �იტენგი" 21 მაისს წერდა: „დამოკიდებული პროფკავშირული ოპოზიციის მიერ გამოცხადებული დასავლეთ ბერლინის რკინიგზელთა გაფიცეა მიზნად ისახავს მოშლილ სარკინიგზო მიმოსვლა არა მარტო დასავლეთ სექტორებში, არამედ დასავლეთ გერმანიასა და ბერლინის შორისაც და წარმოდგენს შეგნებულ პროვოკაციას".

ბონში გამოაცხადეს სეკერაგეული „კონსტიტუციაზ"

ბერლინი, 23 მაისი. (საკ-დისი). როგორც აღნის საგაენტოს კორესპონდენტი ბონიდან გადმოგვეცემა, 23 მაისს „საპარლამენტო საბჭოს" უკანასკნელ სხდომაზე გამოცხადდა სეპარატული „ძირითადი კანონი" გერმანიის დასავლეთი ზონებისათვის. სხდომას დაესწრნენ დასავლეთის სამხედრო გუბერნატორების მოადგილეები ამერიკელი გენერალი ჰეილი, ინგლისელი გენერალი მაკლინი და ფრანგი გენერალი ნეარე. გარდა ამისა, ბონს ჩაეფინენ ბიზნესის ადმინისტრაციელი საბჭოს ობერ-დირექტორი პიიენერი, დასავლეთ გერმანიის მხარეთა პრემიერ-მინისტრები და ბიზნესის სამმართველოთა ხელმძღვანელი მოხელეები.

ფრაქციებს შორის მოლაპარაკების შედეგად, რაც უკანასკნელი დღეებში წარმოიმდა, ბონის „კონსტიტუციას" ხელი მოაწერეს აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალური კავშირის, გერმანიის პარტიისა და ცენტრის პარტიის ის დეპუტატებმა, რომლებმაც წინათ ბონის „კონსტიტუციის" წინააღმდეგ მისცეს ხმა. კომუნისტმა დეპუტატმა პაინე რენერმა განაცხადა: „მე ხელს არ მოვაწერ გერმანიის გათიშვასო". დასავლეთი გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რიიმანმაც არ მოაწერა ხელი ბონის სეპარატულ „კონსტიტუციას".

„კონსტიტუციას" შემდეგ ხელი მოაწერეს დასავლეთ გერმანიის მხარეთა პრემიერ-მინისტრებმა, რითაც მათ დაადასტურეს, რომ ბონის „ძირითადი კანონი" რატიფიცირებულია დასავლეთ გერმანიის მხარეთა უმრავლესობის მიერ.

შემდეგ „საპარლამენტო საბჭო" დათხოვნილ იქნა.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენი

ქალაქ ნანჭინის აღება

ბეიპინი, 23 მაისი. (საკ-დისი). სინხუა სააგენტო იუწყება, რომ 23 მაისს სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა ძიანსის პროვინციის დედაქალაქი ნანჭინი.

ნანჭინი ფაო ალანი სახალხო განმათავისუფლებელი არმიისა, რომელიც ნანჭინის 1927 წლის 1 ივლისტან ოკუპაციის დღეებში ჩაისახა. ნანჭინი ძიანსის პროვინციის კომეწინაკიციის ცენტრია.

ჯიკინანის პროვინციაში აღმოსავლეთისაკენ ბანკოიე-ნენბოს რკინიგზის გაფოლების ფინსეელისს 21 მაისს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ბაიგუანი და ხანჯოუს აღმოსავლეთით 72 კილომეტრზე მდებარე ლიანშეე. მეორე დღეს დაკავებულ იქნა ჯეენსიანი, 96 კილომეტრზე ხანჯოუს აღმოსავლეთით.

სირია-ლიბანის ურთიერთობის გამო

ბეირუთი, 24 მაისი. (საკდისი). როგორც ბრესა იუწყება, სირიის ხელისუფლებმა სირია-ლიბანის საზღვარი დახურეს არა მარტო ტვირთებისთვის, არამედ მგზავრებისთვისაც. გარდა ამისა, მათ განკარგულება გასცეს დაკავებულ იქნეს ლიბანის ავტომანქანები, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ანალოგიური განკარგულება მიეცათ ლიბანის ხელისუფალთ სირიის ავტომანქანების მიმართ. სირიის თავმჯდომარემ მიიღო დადგენილება, რომ ამ ოფიციალურ მოთხოვნაში ინსურეს უყურებენ როგორც „ომად-მიმის, რომელიც მარალმსაჯულებას ემუქრება" და არა როგორც პოლიტიკურ ემიგრანტს.

ეგვიპტეს ჯარებსა და ებრაელ ბანდიტებს შორის

ლონდონი, 24 მაისი. (საკ-დისი). ეგვიპტეს ჯარებსა და ებრაელ ბანდიტებს შორის ბრძოლა ისევ გაგრძელდა. ებრაელ ბანდიტებს ეგვიპტეს ჯარებმა ბრძოლა ეუნეს ბეერ-ეფრაიმ-ბეერ-ეფრაიმ-ბეერ-ეფრაიმ-